

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე პ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭაჭავაძე ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 20 “ 11 “ 2013 წელი

ეგზ. № 2

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის შესრულების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 52/00

2013 წელი

შინაარსი

შესავალი	3
აუდიტის ძირითადი მიზანი	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ	4
ინფორმაცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შესახებ	4
საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილება	5
2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები	7
2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები.....	8
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 6 თვის შესრულების ანალიზი.....	10
ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობები	11
ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები.....	12
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი	13
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	14
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:.....	14

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითადი მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობის შესწავლა და მასზე აუდიტის დასკვნის გაცემა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობისა და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და

რისკების შესაფასებლად, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები შესაბამისობის შესახებ

ინფორმაცია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შესახებ

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ფართობია 1.142 კმ², მუნიციპალიტეტში შედის 18 ტერიტორიული ერთეული, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 14.0 ათას კაცს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. მუნიციპალიტეტის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც ასევე მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო პროცესს წარმართავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. კანონის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და შესრულების პროცესს კოორდინაციას უწევს გამგეობის საფინანსო სამსახური, ხოლო წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო პროცესს ახორციელებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. საბიუჯეტო პროცესი გულისხმობს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, განხილვას, დამტკიცებასა და შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

აუდიტის პროცესში შესწავლილ იქნა, ბიუჯეტის 6 თვის შესრულება განხორციელდა თუ არა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვადების დაცვით. განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაცულია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები. მუნიციპალიტეტი არჩეული პოლიტიკის შესაბამისად, ახორციელებს ბიუჯეტის ყოველკვარტალურ განწერას, რომელიც დამტკიცდა დადგენილი წესის მიხედვით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, კორექტირება გაუკეთდა ბიუჯეტის განწერასა და შესყიდვების წლიურ გეგმას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, 2012 წლის 28 დეკემბერს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №46 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი. დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 3 208.8 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადებულია 2013 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე დაყრდნობით. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების ვალდებულება 2013 წელს წარმოიქმნა, შესაბამისად, პროგრამების საბოლოო შედეგებისა და ქვეპროგრამების შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში პირველი ექვსი თვის განმავლობაში შევიდა ოთხი ცვლილება. ცვლილებების შედეგად, 2013 წლის ბიუჯეტი 21 ივნისის მდომარეობით, 4 106.6 ათასი ლარით განისაზღვრა.

ორ შემთხვევაში ბიუჯეტის ცვლილება გამოწვეული იყო ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერებით. მუნიციპალიტეტმა დადგენილი წესით განახორციელა მიღებული ტრანსფერების - მთავრობის განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსხორციელებული პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მოსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი 56.0 ათასი ლარისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი 428.0 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვა. დანარჩენ ორ შემთხვევაში, ცვლილების მიზეზი გახდა ნაშთის გადანაწილება და ასევე პროგრამების ხარჯვითი ნაწილის დაზუსტება.

2013 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 415.4 ათას ლარს. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების ნაშთი - 215.6 ათას ლარს, რომლის გამოყენება 2013 წელს დაგეგმა შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

- ❖ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა - 22.5 ათასი ლარი.
- ❖ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა - 175.6 ათასი ლარი (აქედან, წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 141.1 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები - 34.5 ათასი ლარი).
- ❖ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2.0 ათასი ლარი.
- ❖ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა 15.1 ათასი ლარი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

2013 წლის დაზუსტებული გეგმის მიხედვით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელები შეადგენს 4 106.0 ათასი ლარს, საიდანაც ხარჯები განისაზღვრა 3 509.5 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 582.1 ათასი ლარით, ხოლო ვალდებულებების კლება - 15.1 ათასი ლარით.

ხარჯები მოიცავს შემდეგ მუხლებს:

ხარჯები	3 509.4
შრომის ანაზღაურება	1 501.5
საქონელი და მომსახურება	909.0
სუბსიდიები	899.9
სოციალური უზრუნველყოფა	142.0
სხვა ხარჯები	57.0


როგორც ცხრილიდან ჩანს, ხარჯების ყველაზე დიდი წილი - 43% მოდის შრომის ანაზღაურებაზე (1 501.5 ათასი ლარი), ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი მოდის სოციალურ უზრუნველყოფასა (4%) და სხვა ხარჯებზე (2%.) საქონელი და მომსახურების, აგრეთვე სუბსიდიების წილი მთლიან ხარჯებში შეადგენს 26-26%-ს. მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიური დაფინანსების 99%-ით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ცხრა ა(ა)იპ-ის დაფინანსება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ-ები	წლიური სუბსიდია (ათასი ლარი)
აიპ სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულება	258.0
აიპ ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლა	63,2
აიპ საფეხბურთო კლუბი „რაჭა“	61.8
აიპ ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“	75.6
აიპ საცურაო აუზი	79
აიპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	257.0
აიპ დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	27.0
აიპ უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	23.0
აიპ ამბროლაურის ერთიანი საზოგ.ჯანდაცვის ცენტრი	44.2

დარჩენილი 11.0 ათასი ლარით დაგეგმილია ახალგაზრდული პროგრამისა (8.0 ათასი ლარი) და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების სოციალური პროგრამის (3.0 ათასი ლარი) სუბსიდიური დაფინანსება.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯების გადანაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე.

დიაგრამა. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია



ხარჯებში ყველაზე მაღალი დაფინანსებით, 41%-ით წარმოდგენილია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (1 666.5 ათასი ლარი); 15% - 15% მოდის ეკონომიკურ საქმიანობაზე (618.0 ათასი ლარი) და დასვენება, კულტურა და რელიგია (623.4 ათასი ლარი), დაფინანსების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი მოდის ჯანდაცვაზე - 1% (თანხით - 44.2 ათასი ლარი) და თავდაცვაზე - 2% (თანხით - 69.5 ათასი ლარი).


2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა (2013 წლის საპროგნოზო მაჩვენებლის მიხედვით) შემოსულობების ნაწილში შეადგინა 3 693.8 ათასი ლარი, სადაც შემოსავლები განისაზღვრა 3 658.8 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების კლება - 35.0 ათასი ლარით.

შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

შემოსავლები	3658
გადასახადები	130.0
გრანტები	3 041.0
სხვა შემოსავლები	486.9

გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი - 130.0 ათასი ლარი, მოდის ქონების გადასახადზე; სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლის 88%-ს შეადგენს საკუთრებიდან მიღებული შემოსავალი, კონკრეტულად, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის - თანხით 429.0 ათასი ლარი, 6% - ჯარიმები, სანქციები და საურავები (თანხით - 30.0 ათასი ლარი) და 5% - საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (თანხით - 26.1 ათასი ლარი). რაც შეეხება გრანტებს, ტრანსფერების სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია:



ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 2441.9 ათას ლარს, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 66,7%-ს უტოლდება. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე თვითმმართველობების ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

2013 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოეყო 115.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის ბალანსში, ხარჯებსა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურ კლასიფიკაციასა და ასიგნებების პროგრამულ კლასიფიკაციაში მუნიციპალიტეტს აღნიშნული შემოსავლები ასახული აქვს, როგორც საკუთარი შემოსულობა. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, მიზნობრივი ტრანსფერი არ მიეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ შემოსულობას და შესაბამისად, ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს როგორც თვითმმართველობის არასაკუთარი შემოსულობები. აღნიშნული შეცდომის გამო, საბიუჯეტო წლის დასრულებისას შესაძლოა წარმოიშვას მიზნობრივი ტრანსფერიდან მორჩენილი გაუხარჯავი თანხის საკუთარი შემოსულობებისგან დიფერენცირების პრობლემა, რა მიზეზითაც ასევე შესაძლოა, რომ მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოყოფილი თანხები გაიხარჯოს არამიზნობრივად.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 6 თვის შესრულების ანალიზი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად მოამზადა მიმდინარე წლის ბიუჯეტის განწერა, სადაც წლის განმავლობაში შევიდა გარკვეული სახის კორექტირება, დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად. კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. პირველი კვარტლის მიმოხილვა 2013 წლის 30 მაისს დამტკიცებულია საკრებულოს თავჯდომარის მიერ, ხოლო მეორე კვარტლის მიმოხილვა აუდიტის დროს არ იყო დამტკიცებული. აუდიტის ჯგუფმა პირველი 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი მოამზადა მუნიციპალიტეტის გამგეობის (საფინანსო სამსახური) მოწოდებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

№2 ცხრილში ნაჩვენებია პირველი ორი კვარტლის ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლების პირველი და მეორე კვარტლის ფაქტიური მონაცემების გადახრა შესაბამის კვარტლის დაზუსტებულ განწერასთან.

ცხრილი №1:

ორი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	6 თვის ფაქტი	გადახრა I კვარტლის დაზუსტებული განწერიდან	გადახრა II კვარტლის დაზუსტებული განწერიდან
შემოსულობები	1 556.5	15%	9%
გადასახდელები	1 160.4	16,1%	15%

როგორც ცხრილიდან ჩანს, შემოსულობების მიღება მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება უფრო მეტი, ვიდრე ფაქტობრივად სრულდება კვარტლის დასრულებისას, ხოლო გადასახდელები - იმაზე ნაკლები, ვიდრე ფაქტობრივად იხარჯება. შემოსულობების ფაქტობრივი მონაცემების დაგეგმვა პირველ კვარტალთან შედარებით, უფრო მეტად მიახლოებულია მეორე კვარტალში.

ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობები

2013 წლის 6 თვის მონაცემებით, ამბროლაურის ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1 556.5 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 42%.

შემოსულობები	წლური გეგმა	6 თვის შესრულება	პროცენტული წილი
შემოსულობები	3693.8	1556.5	42%
შემოსვლები	3658.8	1520.7	41%
არაფინანსური აქტივების კლება	35	35.8	102%

შემოსავლების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 67% მითითებულია გადასახადების მუხლში, რომელიც მთლიანი შემოსავლების 6%-ს უტოლდება. სხვა შემოსავლების ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 30%-ს, რომელშიც ყველაზე მეტი წილი უჭირავს საკუთრებიდან მიღებულ

შემოსავლებს (106.5 ათასი ლარი), საპროცენტო შემოსავალმა 6 თვის მონაცემებით შეადგინა 9.6 ათასი ლარი, დამტკიცებული ბიუჯეტით კი - აღნიშნული მუხლიდან შემოსავლის მიღება არ იყო დაგეგმილი. რაც შეეხება რენტას, წლიური ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლის მხოლოდ 22%-ია შესრულებული (96.9 ათასი ლარი), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი - დაგეგმილი 429.0 ათასი ლარიდან, მიღებულია 93.6 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 3,6 ათასი ლარი - მიწის იჯარიდან. ჯარიმების, სანქციებისა და საურავების სახით, 6 თვის მონაცემებით მიღებულია 25.4 ათასი ლარი, რომელიც დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებლის 85%-ს შეადგენს.

ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები

ბიუჯეტის შესრულების 6 თვის შესრულების მიხედვით, გადასახდელებმა შეადგინა 1660.4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმით გათვალისწინებული გადასახდელის 40%-ს შეადგენს. №3 ცხრილში წარმოდგენილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების წლიური გეგმისა და 6 თვის ფაქტობრივი მონაცემების შედარება.

ცხრილი №2: გადასახდელების 6 თვის ფაქტობრივი მონაცემები წლიურ გეგმასთან შედარებით (ათასი ლარი)

გადასახდელები	წლიური გეგმა	6 თვის შესრულება	პროცენტული წილი
გადასახდელები	4106.6	1660.4	40%
<i>ხარჯები</i>	<i>3509.5</i>	<i>1568.5</i>	<i>44%</i>
<i>არაფინანსური აქტივების ზრდა</i>	<i>582.1</i>	<i>37.4</i>	<i>6%</i>

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, შექმნილია სარეზერვო ფონდი 42.4 ათასი ლარის ოდენობით (ბიუჯეტის ასიგნების 0,06%). სარეზერვო ფონდის განკარგვას ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობა, ხოლო ხარჯვის შესახებ ინფორმაცია წარედგინება საკრებულოს. 2013 წლის პირველი 6 თვის მდგომარეობით, სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 92%, ანუ 39.4 ათასი ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი 2013 წლიდან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, გადავიდა პროგრამულ ბიუჯეტზე, რომელიც უნდა შედგეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამული ბიუჯეტი არის შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი, რომელშიც აღწერილია პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და მისი შეფასების კრიტერიუმები. ეს კრიტერიუმებია:

- ❖ შედეგზე ორიენტირებული - უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან დამოკიდებულებას.
- ❖ ნათელი და გაზომვადი - რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ღონისძიებები ასახულია 2013 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში, რომელიც ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინა საკრებულოს. ამავე დოკუმენტშია პროგრამის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების აღწერა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემული პროგრამის შედეგების შეფასების ინდიკატორები არ არის გაზომვადი, ამასთან, მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული აღნიშნული ინდიკატორებით მოსალოდნელი შედეგის გაზომვის მეთოდოლოგია, რის გამოც ვერ ხერხდება მიღწეული შედეგების შეჯამება.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ამბროლაურის

მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ-ასისტენტი:
ლელა მიქაძე

ხელმოწერა  თარიღი 18.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:
ირმა ხეცურიანი

ხელმოწერა  თარიღი 18.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:
ლალი ამბროლაძე

ხელმოწერა  თარიღი 18.11.2013